ქ. ვროცლავში (პოლონეთი) სტაჟირების კონკურსი

აჭარის საჯარო სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებისათვის

➡ ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლების შესარჩევ კონკურსს პოლონეთში, ქვემო სილეზიის მასწავლებელთა მომზადების ცენტრში (ქ. ვროცლავი) ერთკვირიანი სტაჟირებისათვის.

➡ კონკურსის შედეგად შერჩეულ მასწავლებლებს საშუალება ექნებათ ვიზიტის პერიოდში დაათვალიერონ ქვემო სილეზიის მასწავლებელთა მომზადების ცენტრი, შეხვდნენ ადმინისტრაციას; მოისმინონ ტრენინგი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ზოგად მეთოდიკაში; ტრენინგები სწავლების თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდიკაში, გაეცნონ გაკვეთილის დაგეგმვაა საგნებში; ტექნოლოგიების გამოყენებას გაკვეთილებზე; მათ ექნებათ ვიზიტი პოლონურ სკოლაში; ისინი დაესწრებიან გაკვეთილებს, ჩაატარებენ შეხვედრას სასკოლო კლუბის წევრებთან და მასწავლებლებთან.

➡ კონკურსის შედეგად შეირჩევა: 2 გეოგრაფიის პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საჯარო სკოლებიდან. მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ.

➡ სტაჟიორი ვალდებულია ვიზიტის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, საჯარო სკოლაში შექმნას არანაკლებ 10 წევრისაგან (მოსწავლე) შემდგარი სასკოლო კლუბი, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ ერთი სასწავლო წლით.

✓ **კონკურსის პირობები:**

1. კონკურსში მონაწილე: უნდა იყოს მოქმედი **უფროსი/წამყვანი/მენტორი** პედაგოგი;

   შენიშვნა[1]: თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მაღალი სტატუსის მქონე კანდიდატს

2. კანდიდატი უნდა ასწავლიდეს **აჭარის საჯარო სკოლაში და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი საგნის სასერთიფიკაციო გამოცდა;**

3. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი **არ უნდა იყოს ნამყოფი** აღნიშნულ ცენტრში.

✓ **საჭირო დოკუმენტაცია:**

1. CV ქართულ ენაზე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. დიპლომის ასლი
4. სკოლაში განხორციელებული პროექტ-გაკვეთილი გეოგრაფიაში Power Point პრეზენტაციის სახით (10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 10 წუთი); ბალანსი სლაიდებსა და ტექსტს შორის; პრეზენტაციაში წარმოდგენილი სლაიდები (ფოტოები)

უნდა ასახავდეს მუშაობის პროცესსა და მოსწავლეთა ნამუშევრებს; გაკვეთილი უნდა იყოს ინოვაციური, მიზანი და შედეგები გაზომვადი;
5. უფროსი/წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. შესაბამისი საგნის (გეოგრაფიის) გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
7. შესაბამისი საგნის(გეოგრაფიის) მასწავლებლობის დამადასტურებელი ცნობა სამუშაო ადგილიდან *(ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებული).*

- ✓ **ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია უნდა წარადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:ajaraedufund@gmail.com**
- ✓ **მასალის წარდგენის ბოლო ვადაა 2026 წლის 31 ივლისი (18.00 სთ).**
- ✓ **წერილის ველში აუცილებლად მიუთითეთ საგნობრივი მიმართულება**

შენიშვნა:
1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!
3. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!

- ✓ **კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:**

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა
II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, პროექტ-გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და მისი განხილვა

- ✓ **ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:**

ლალი ლომთათიძე (დირექტორის მოადგილე)
საკონტაქტო ტელეფონი: 599 94 04 66
ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი
მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #123.